

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/20

თბილისი

“ 27 “ მარტი 2014 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსის ჩატარების წესის 1 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2014 წლის 7 აპრილს გამოცხადდეს ღია კონკურსი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პროფესორის 6 (ექვსი) წლის, ასოცირებული პროფესორის 4 წლის და ასისტენტის 3 (სამი) წლის ვადით დასაკავებლად, კონკურსის შედეგების დამტკიცების დღიდან
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2014 წლის 13 მაისიდან 2014 წლის 23 მაისის ჩათვლით, ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 11 ივნისს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში 3 დღის ვადაში. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2014 წლის 17 ივნისს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 12 აკადემიური პერსონალი - 5 პროფესორი; - 6 ასოცირებული პროფესორი; - 1 ასისტენტი.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ბიზნესის მართვის კათედრა:

- 1 პროფესორი
- 2 ასოცირებული პროფესორი

ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა:

- 2 პროფესორი

1 ასისტენტი

ინფორმატიკის კათედრა:

1 ასოცირებული პროფესორი

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის კათედრა:

1 პროფესორი

საჯარო სამართლის კათედრა:

1 პროფესორი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჟურნალისტიკის პროგრამული მიმართულება:

1 ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა:

2 ასოცირებული პროფესორი

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
 - მიმართულების განვითარების პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით (3-4 გვერდზე acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
 - სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);
 - გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, acadnux. – 12, 1,5ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობასი საგრანტო პროექტებში მონაწილეობისდამადასტურებელი დოკუმენტი;
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებისდედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მისი ხელმძღვანელობით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები(საბაკალავრო, სამაგისტრო)

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, acadnux. – 12, 1,5 ინტერვალით);

- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
 - ავტობიოგრაფია (CV)
 - საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
 - ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
 - ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან
 5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი
 6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.
 7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სახმსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს..

რექტორი

გიორგი მათიაშვილი